

კავშირი ემოციურ ინტელექტსა და ავთენტურ
ლიდერობას შორის

სალომე მაჭავარიანი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო
უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტზე
სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სამაგისტრო სემინარი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ჯავახიშვილი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი, 2015

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომში განხილულია კავშირი ემოციურ ინტელექტსა და ავტენტურ ლიდერობას შორის. კვლევაში გამოყენებულია გენოსის ემოციური ინტელექტის საზომი თვითშეფასების კითხვარი, რომელიც შემდეგ პარამეტრებს ზომავს: ემოციური თვითშეგნება, ემოციური ექსპრესია, სხვების ემოციური შეგნება, ემოციური განსჯა, ემოციური თვითმენეჯმენტი, სხვისი ემოციების მენეჯმენტი, ემოციური თვითკონტროლი. ავტენტური ლიდერობის გასაზომად გამოყენებულია ALQ Version 1 - ქართულ ენაზე თარგმნილი და ვალიდირებული კითხვარი, რომელიც საერთო ავტენტურ ლიდერობასთან ერთად მის შემადგენელ ოთხ პარამეტრსაც ზომავს: გამჭვირვალობა, მორალი/ეთიკურობა, გაწონასწორებული პროცესინგი და თვითშეგნება.

კვლევა ჩატარდა 2015 წლის გაზაფხულზე და კვლევაში მონაწილეობა მიიღო 32-მარესპონდენტმა. შერჩევა იყო არაალბათური. აირჩა საქართველოში მოღვაწე სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელი საშუალო და მაღალი დონის მენეჯერები.

პირსონის კორელაციით კვლევაში დაფიქსირდა შემდეგი ძირითადი შედეგები:

- საერთო ემოციურ ინტელექტსა და საერთო ავტენტურ ლიდერობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია
- ემოციური ინტელექტის შემადგენელი მხოლოდ ერთი პარამეტრის - სხვების ემოციურ შეგნებასა და ავტენტურ ლიდერობას შორის სტატისტიკურად მნიშვნელოვანი საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია
- სტატისტიკურად მნიშვნელოვანი საშუალო სიძლიერის დადებითი კორელაცია ავტენტური ლიდერობის შემადგენელ მხოლოდ ერთ პარამეტრთან - გაწონასწორებულ პროცესინგსა და ემოციურ ინტელექტს შორის.